


К 50.314
2


გ. ე. ლეჟვიშვილი
ჩ. ე. ლეჟვიშვილი

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური



საზოგადოებრივი
სამსახური

1949年
2025年



ჩ. ლევიანი
ჩ. ლევიანი

ლიკანი
ЛИКАНИ



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1982
Издательство «Сაბჭოთა საქართველო»
Тбилиси, 1982

საბჭ-2000
მეცნიერებათა აკადემია

14.213(c922)

615.8(c41)

53.54(2Γ)

35.838+9[(47.922)]


ფ-89



ლიტონი

რეცენზენტი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სა-მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანაშრომელი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
3. მახათაძე



ხ/ე 057

4102000000-206

Л _____ 170-32

M 601(08). 82

© „საბჭოთა საქართველო“, 1982

1676

-5

ბორჯომის ხეობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა, ლიკანი კი ამ ხეობის — დედოფალია.

ბორჯომის სახელწოდების შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს, მაგრამ არც ერთი არ არის საბოლოოდ სარწმუნო. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგი დაკავშირებული უნდა იყოს ომთან, ბორჯომი — ბურჯი — მაგარი კედელი (სპარსულად) და ომი.

ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ „ბორჯი“ ქართული სიტყვაა და ფესვს ნიშნავს (მცენარემ ბორჯი გაიდგა).

ბორჯომის ხეობას ისტორიულად თორის ხეობა, ანუ თორის მხარე ეწოდებოდა.

ამ კუთხის განვითარება და მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით თვალში საცემია გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან, როცა კავკასიის მაშინდელმა მთავარმართებელმა ევგენი გოლოვინმა ბორჯომში ჩაიყვანა სნეული ქალიშვილი. მინერალური წყლებით მკურნალობის შემდეგ ავადმყოფმა შვება იგრძნო. ამ სიხარულის აღსანიშნავად გოლოვინმა პირველ წყაროს თავისი ქალიშვილის ეკატერინეს სახელი დაანათლა, მეორეთი კი საკუთარი სახელის უკვდავყოფა ინება. სხვა მოსაზრებით, მეორე წყაროს დაერქვა იმ ინჟინრის სახელი, რომელმაც აქ გალერეა ააგო.

მეფის ჩინოსანი ბორჯომში შემთხვევით არ მოხვედრილა მას აღრევე სმენოდა ხეობისა და მისი მინერალური წყლის ქება. იქ ზაფხულის ცხელ დღეებს ატარებდნენ, ისვენებდნენ და მკურნალობდნენ ქართველი არისტოკრატები; ისინი კეთილ-მოწყობილი ბინების უქონლობის გამო კარვებშიც კი ცხოვრობდნენ.

ბორჯომის წყლის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ისტორიული საბუთები არაფერს გვეუბნება, თუმცა, რა თქმა უნდა, მისი არსებობა ძველთაგანვე იყო ცნობილი. ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი აბაზანები, რომლებსაც მეცნიერები შუა საუკუნეებს მიაკუთვნებენ.


ბორჯომის მინერალური წყლების შესახებ პირველ ოფიციალურ მონაცემებს ვეცნობით საქართველოს 1825 წლის მედიკოტოპოგრაფიული აღწერილობით, რომელიც ა. კარპოვიჩმა შეადგინა.

1871 წელს ბორჯომის ხეობა დაათვალიერა მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის ძმამ. მას მოეწონა იქაურობა; თავდაპირველად იგი კუთხის ადმინისტრაციის გაძლიერებაზე ზრუნავდა. დაწესდა მინერალური წყლების მმართველის თანამდებობა. ბორჯომში გაჩნდნენ ბოქაული, პოლიციელები. მის დროსვე აშენდა რკინის ხიდი, აღრინდელი ხის ხიდის ნაცვლად.

მიხეილს საუცხოო აგარაკი ჰქონდა თეთრწყაროში, მაგრამ ბორჯომით მოხიბლულმა ბრძანა, საზაფხულო რეზიდენცია იქ გადაეტანათ. მტკვრის მარცხენა მხარეს არქიტექტორ შვენერის პროექტით ააგეს ფსევდომაგრიტანული სტილის ორსართულიანი 32-ოთახიანი ხის სასახლე. კედლები, აივნები, ტერასები დაამშვენეს ხეზე კვეთილობითა და ჩუქურთმებით, რომლებიც მნახველს ბრიუსელის მაქმანებს მოაგონებ-

და. არც ბუნარი დაივიწყეს. ბუჩქნარ-ბარდისაგან გაწმინდეს იქაურობა, გაჭრეს ბილიკები, ამოაშენეს აუზები და ცაში აიჭრა ბროლის შადრევნები. ანკარა წყაროზე გასდეს ორანჟერეაში გადასასვლელი ხიდი.

სასახლესთან სამრეკლოზე დაჰკიდეს ცხრაფუთიანი ზარი. როდესაც ახალსახლობის აღსანიშნავად დიდ ნადიმზე პეტერბურგიდან თვით რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე ჩამობრძანდა, სწორედ მაშინ პირველად ჩამოჰკრეს ზარი და ყველას აუწყეს მეფისნაცვლის კიდევ ერთი, ამჯერად „მიხეილის სასახლის“ დაბადება (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სასახლეც გადაკეთდა სანატორიუმად „მთის ხეობის“ სახელწოდებით). 1969 წელს ეს ხის შენობა დაიწვა და ახლა მის ადგილას მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი პანსიონატია.



სურ. 1. კურორტ ბორჯომის დამსვენებლები

შუა ქეიფის დროს ნასიამოვნები იმპერატორი ვერანდაზე
გავიდა და სანახაობით აღფრთოვანებულმა მონარქმა ძმას
მემკვიდრეობის უფლებით მთელი ბორჯომის ხეობა უბოძა.

მეფისნაცვალნი სულ უფრო ღრმად იჭრებოდნენ ხეობაში.
მიხეილ რომანოვის უფროსმა ვაჟმა ნიკოლოზმა ყველაზე
საუკეთესო კუთხე — ლიკანი ირჩია და სასახლე აიშენა.

1869 წელს მინერალური წყლების მმართველად დაინიშ-
ნა მედიცინის დოქტორი რემერტი. მისივე ინიციატივით ბორ-
ჯომში გაშენდა პარკი (რემერტის ბაღი), ამჟამად ოქტომბრის
რევოლუციის სახელობისა.

ბორჯომის შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებული პეტრე
ჩაიკოვსკი 1887 წლის 23 ივლისს მსახიობ ე. პავლოვსკაიას
სწერდა: „ტფილისიდან ძმის ოჯახთან ერთად გადავვდივით
ბორჯომში. თუ ხართ ნამყოფი ამ მომხიბლავ კუთხეში? იცით,
ზოგჯერ, ღმერთმანი, აღტაცების ცრემლი მდის იმ სილამაზი-
საგან, რასაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდები. ჩემი აზრით, ეს
ერთ-ერთი ყველაზე ღვთაებრივი ადგილია მსოფლიოში.
შესანიშნავად მოვეწყვეთ, ყოველდღე ხანგრძლივად ვსეირ-
ნობდი, ვსვამდი წყალს (ვიშის მსგავსს), ვიღებდი აბაზანებს,
ცოტასაც ვმუშაობდი. ერთი სიტყვით, განცხრომას ვეძლეოდი.
იქვე ჩამოვიდა ძმა მოდესტი და ოჯახურ წრეში წარმოუდგენ-
ლად ლამაზ ბუნებაში ვცხოვრობდით უღარდელად“.

საიდან წარმოსდგა სიტყვა ლიკანი?

მწერალ გიორგი შატბერაშვილის განმარტებით, ლიკანი
საგანგებოდ გამომცხვარი თონის პურია, რომლის ერთი მხარე
სწორია, ხოლო მეორე ნახევარმთვარესავით შეზნექილი.

პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, ლიკანი, ალბათ, მისი რკა-

ლისებური მდებარეობის გამო დაერქვა (შეადარეთ სოფლის სახელს — გრაკალი).

ხალხური გადმოცემით, როცა ამ მიდამოს ლეკები ეცემოდნენ და აწიოკებდნენ, ხალხი ყვიროდა: ლეკი, ლეკი, მოდისო! შემდგომ სიტყვა ლეკმა სახეცვლა განიცადა და გადაიქცა ლეკანად. ეს ვარიანტი, მეცნიერთა აზრით, სათუოდ უნდა მივიჩნიოთ — ბორჯომის ხეობას ლეკიანობის სიმწარე არ განუცდია.

გიორგი ლეონიძე ასეთ ახსნა-განმარტებას იძლევა: „ლიკანი — ლიგანი — ვიწრო განი, ანუ ვიწრობი, ორი მთის მი-ახლოება“.

ლიკანი მდებარეობს მდინარე მტკვრის პირას, ზღვის დონიდან 816 მეტრ სიმაღლეზე. ჰავა თბილი, ზომიერია, საშუალო წლიური ტემპერატურა პლუს 8,8—8,9 გრადუსია, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 580-590 მმ. ნალექის უმეტესობა მოდის გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

არქეოლოგიური გათხრებისა და მატერიალური ძეგლების მონაცემებით ლიკანი ჩოგორც სოფელი არსებობს VIII—IX საუკუნიდან. ამ დროს აქ უკვე მოქმედებდა მონასტერი. მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნეში იგი გაუკაცრიელდა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით (წ. III, 1958) ლიკანი უკაცრიელი ჩანს, ხოლო მე-17 საუკუნის დამდეგიდან აქ კვლავ გაჩნდა მოსახლეობა და ბეგარაც შეაწერეს. „კავკასისკი კალენდარის“ მიხედვით, 1912 წელს ლიკანში ცხოვრობდა 111 სული, 1915 წელს — 123.

1883 წელს შორაპნის მაზრის სოფელ წაქვის მცხოვრები სახაზინო გლეხები ითხოვდნენ ლიკანის ტერიტორიაზე დასახლებას, რომელიც, მათი თქმით, ცარიელი ადგილი იყო¹.

¹ საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, საქმე 90, ფ. 353.



ვახუშტის მიხედვით, „პირისპირ ციხისა (ე. ი. პეტრესციხე) მიერთვის მტკვარს ჩრდილოეთიდან ლიკანის ხევი“ („აღწერა“, გვ. 81). გარდა ამისა, ლიკანი როგორც დასახლებული პუნქტი აღნიშნულია საქართველოს თითქმის ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე.

ლ. ბენუას პროექტით ხუროთმოძღვარი ლ. ბილფელდი ბერძენ ოსტატთა დახმარებით ციცაბო მთებში, დაბურულ ტყეებში, ფიჭვნარსა და ნაძვნარში აშენებს რენესანსის სტილის რომანტიკულ სასახლეს. მისი ბელვედერი და ლავგარდნები დაამშვენეს მარმარილოს პატარა ქანდაკებებით. 1899 წელს პირადი მოხმარებისათვის რომანოვებმა აქ პატარა მდინარე ბორჯომულაზე ააგეს ამიერკავკასიაში პირველი მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური და რომანოვების ახალი სამკვიდრო, განსაკუთრებით კი ფერად-ფერადი ნათურების წყალობით ნიკოლოზის სასახლის მაღალი კოშკი ყოველ საღამოს ზღაპრულად ელავდა.

სასახლისაკენ მიმავალ კიბეს ამშვენებდა ქვის სვეტებზე დადგმული იტალიური მარმარილოს ლარნაკები ხახადაღებული ურჩხულებით, ორნამენტული ვაზის ტოტებით. ბრინჯაოს ნახელავთა შორის ყველაზე ორიგინალური და ლამაზი იყო ორი გააფთრებული არწივის ბრძოლის სურათი კურდღლისათვის, ერთ-ერთი მათგანის ბრჭყალებში სულს რომ ლაფავდა. ხელოვნურ ტბაში დაცურავდნენ თეთრი გედები, ჭრელი ციცრები და იხვები. სანაპიროზე კი დასეირნობდნენ გრძელფეხა ყანჩები. ეს ფრინველები ბინადრობდნენ წყალში ჩადგმულ პატარა მწვანე „სასახლეში“. შადრევნის ჭავლი აგრილებდა ისედაც გამჭვირვალე ჰაერს. ასე შეიქმნა შე-

სანიშნავი პანორამა, რომელიც სასახლის უკან დებულ რული ფიჭვის ტყით მთავრდებოდა. 1895 წელს გაჩნდა კიდევ ერთი ნაგებობა ბორჯომის ხეობაში — ნიკოლოზ რომანოვის სასახლე (ამჟამად ეს სასახლე მეოთხე მთავარი სამმართველოს სანატორიუმის მშენებებაა, პირველყოფილი სახით შემონახული და სათუთად მოვლილი). ნიკოლოზს არც მისი ძმა სერგი ჩამორჩა. მან თორის პლატოზე, ქალაქის ცენტრში გაიშენა არანაკლებ წარმტაცი აგარაკი. ამრიგად, სამივე მხრიდან სამმა სასახლემ თითქოსდა რკალი შემოარტყა ხეობას და ამ საუცხოო მთა-ბარში რომანოვების ნაშეიერებმა გამართეს სეირნობა, ცეკვა-თამაში, ჯირითი, ლხინი, ღრეობა.

მტკვრის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის ფერდობზე, პირქუშად შემომჯდარა პეტრესციხე და თავისი მიუვალი სიმაღლიდან გადმოჰყურებს სასახლეს... მარცხენა მხრიდან კი გოგეასციხეა აღმართული. ოდესღაც ბორჯომის ხეობა თავად ავალიშვილებს ეკუთვნოდათ და ეს ციხეები ორ ძმას — პეტრეს და გოგეა ავალიშვილებს აუგიათ, ზოგიერთის აზრით კი განუახლებიათ. სწორედ აქედან შეერქვა მათი სახელები.

სანატორიუმიდან ერთადერთი ხილით პეტრესციხისაკენ მიმავალი გზა სულ უფრო ვიწროვდება და ციცაბოზე ასვლა სახიფათო და საძნელოა. ხილი ააშენეს ციხესთან მისვლის გასაიოლებლად. რომანოვების დაცვის ჯარებს ფაფაში (ახალი უბანი) სავარჯიშო მოედანი ჰქონდათ და ლიკანიდან მისასვლელად ბორჯომის გავლა იყო საჭირო. ხილმა გზა შემოაკლა.

შემდგომში იგი შეცვალა საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილმა რკინის ხილმა, რომელიც წყალდიდობამ წალეკა და მის ნაცვლად აგებულმა ახალმა ლამაზმა ხილმა დაამშვენა იქაურობა.

ბორჯომი და ლიკანიც იმათვის. ვინც მიწას ოფლით
რწყავდა და ხელებზე კოჟრს ვერ იშორებდა, მიუწვდომელი
იყო. იგი მხოლოდ დიდგვაროვანთა, ჩარჩ-ვაჭართა, ბობოლა
მოხელეთა სავანე და სამკურნალო გახლდათ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის კეთილდღეობა თავის
მთავარ საზრუნავად გამოაცხადა. სასახლეები და აგარაკები
რჩეულთა ნაცვლად ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის
ჯანმრთელობის კერად იქცა. აქ შეიქმნა საქართველოს სსრ
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარი სამ-
მართველოს სანატორიუმი „ლიკანი“.

„თუ დედამიწაზე არსებობს სამოთხე, მაშინ ის ლიკანის
მსგავსია“, — თქვა გამოჩენილმა მარქსისტმა, დიდი ლენინის
თანამებრძოლმა ა. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც ერთი ზაფხული
აქ გაატარა.

ბორჯომი, კერძოდ კი ლიკანი, მუდამ იზიდავდა ტურისტებსა და დამსვენებლებს.

აქ ყოველივე ისეა მოფიქრებულ-გააზრებული, რომ
მშრომელმა ადამიანმა იგრძნოს მასზე დღენიადაგ ზრუნვა,
დაისვენოს. მთელი პარკის გასწვრივ ეგზოტიკურ გარემოში
აქა-იქ რვა მინიატიურული აგარაკია. ისინი ქმნიან იშვიათ პა-
ნორამას, ჰარმონიას, თვალს სიამოვნებენ და გონებას ამშვი-
დებენ. აქ ყოველი მისადგომი, ბილიკი თუ გზა იასამნის, ცაც-
ხვის, არყის, წაბლის, კედრის, ბზისა და ტუიის ხეივნებითაა
დამშვენებული.

პარკის ბოლოს, ხეხილის ბაღში შესასვლელ გზასთან,
შუაზე გადაჭრილი კლდე საოცარ სურათს ქმნის. მტკვრის მარ-
ცხენა ნაპირზე კუნძულივით შერჩენილ პატარა კლდეზე
რცხილას და ფიჭვს მოუნახავს სადგომი. ალბათ, ესეც ბუნე-
ბის საოცრებაა, რომ აქ იხარა მცენარემ, ხემ თავისი ფესვები



ღრმად გაიდგა კლდის მკერდში, მწვანედ ჩამუქებული ტიტები კი მზრუნველად გადაათარა თავის შემხიზნავს.

რა სანახებია პარკის დასავლეთ მხარეს! ხეივნის ბილიცს მივყავართ ყველაზე მაღალ ფერდობზე და თვალწინ გადაიშლება სოფელი ლიკანი, საკოლმეურნეო ველ-მინდვრები. პირისპირ კი შემოგვყურებს პეტრესციხე.

აგრონომების, მებაღეების წყალობით ადრიან გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ნაირნაირი გაზონები, კლუმბები კაცის გულს ახარებენ ფერთა მრავლობით.

ყველა ჯიშის, ყველა ზომის, ყველა ფერის ვარდებისთვის დიდი გემოვნებით არის შერჩეული ადგილები. როცა ერთნი ჭკნობას იწყებენ, მეორენი ისხამენ კოკრებს, მერე მესამის ჯერი დგება. გაზაფხულიდან ერთმანეთის მიყოლებით თუ ერთად ყვავილობენ იაჟუჟუნა, ზიზილა, ნარგიზი და ტიტა, შემოდგომაზე იშლება გეორგინი თუ გლადიოლუსი, ასტრა და ასე გრძელდება პირველ სუსხამდე.

სასეირნო ბილიკ-გზები, პატარა მოედნები, ტყე-მინდვრებისა და მტკვრის სანახები, აზიდული მთები — ყოველივე ეს ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში დგას და ხელს უწყობს სისხლძარღვთა დაავადების მკურნალობას.

შადრევნები, ფანჩატურები, ბალის ჩრდილს შეფარებული მერხ-მაგიდები გიხმობენ სეირნობისა თუ დასვენებისათვის. საღამოობით კი, როცა ბინდი ჩამოწვება, პარკს სინათლეს ჰფენს თანამედროვე ტიპის სვეტებზე დამაგრებული ძველთბილისური სტილით შესრულებული ჭედური ფარნები.

ლიკანის პარკი აღმოსავლეთით ემიჯნება ქალაქ ბორჯომის ფარგლებს, დასავლეთით — სოფელ ლიკანს, დაბლობი ადგილი მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირს გაუყვება, ხოლო ზედა ნაწილი გადის ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილზე, რომ-



ლის მიღმაც მდებარეობს პროფკავშირთა სანატორიუმი „ლი-კანი“.

პარკი გაშენდა XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამლევს და მას 45 ჰექტარი უჭირავს. მათგან 16 ჰექტარზე ტყეა, სამზე — საბაღე მეურნეობა, დანარჩენი ნაწილი დეკორატიულია. ტყე-პარკშია იშვიათი ხეები, როგორც არის ესპანური სოჭი, ყავისფერი წიფელი, ვერცხლისფერი ნაძვი, არყისხე, ვერცხლისფერი ცაცხვი, წითელი წაბლი... აქ სულ წიწვოვანი, ფოთლოვანი და ბუჩქოვანი ნარგავების 250-მდე სახეობაა. ბევრი დეკორატიული კულტურა ნალჩიკისა და ადღერის საბჭოთა მეურნეობებიდან შემოიტანეს. ღია მოედნები დამშვენებულია ხე-ბუჩქების იშვიათი ნიმუშებით.

1968 წელს სანატორიუმს, ისევე როგორც მთელ ბორჯომის ხეობას, თავს დაატყდა დიდი უბედურება. გაზაფხულზე წყალდიდობისას გამძვინვარებულმა სტიქიონმა წალეკა შტკეარზე გადებული რკინის ხიდი, რომლითაც პარკი პეტრესციხის ბილიკებს ერწყმოდა. თითქმის მთელი ტერიტორია მოსრა მდინარის მღვრიე ტალღებმა და იქაურობა შლამ-ლორღმა, დაღეწილმა ტოტებმა, კუნძებმა და ნაფოტებმა დაფარა. გაოხრდა ყვავილნარი, ბილიკები. საშველად მოსული სამხედრო მოსამსახურეების მხარდამხარ თავდაუზოგავად შრომობდა მთელი სანატორიუმის კოლექტივი, განურჩევლად ასაკისა და თანამდებობისა. მალე კვლავ გაჩნდა ნარნარ სურნელოვანი ყვავილნარი, გაზონები. გაიჭრა ახალი სავალი ბილიკები და ეს ყველაფერი უწინდელზე უფრო ლამაზი და მომხიბლავი გახდა.

ახლაც დღეგრძელი არიან ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ლიკანი, მაშინდელი მკურნალობის დონე, რაც, არსებითად, მხოლოდ აბაზანების მიღებითა და მინერალური წყლის სმით იფარგლებოდა.

ლიკანის სანატორიუმს დასაბამი მიეცა 1921 წელს, როცა ნიკოლოზ რომანოვის ყოფილი სასახლე დასასვენებელ სახლად გადაკეთდა და ხალხთა ფართო მასების სიკეთის სამსახურში ჩადგა. თავდაპირველად აქ მხოლოდ 50 საწოლი იდგა და თანამშრომელთა რიცხვიც შესაბამისად მცირე იყო.

1922 წელს რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ნ. სემაშკო და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ტ. კუჭავა ეწვივნენ ბორჯომის დასასვენებელ სახლს „ლიკანს“ და მისი მიდამოების მშენიერებით მოხიბლულებმა გამოთქვეს აზრი, აგებულიყო ჯანმრთელობის ახალი კერა.

არქიტექტორმა ნ. სევეროვმა და ინჟინერმა გ. დაევმა შეარჩიეს მზიანი, უქარო ადგილი და დაიწყო მშენებლობა.

1922 წელს ბორჯომში დასასვენებლად და სამკურნალოდ უნდა ჩასულიყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, ოქტომბრის რევოლუციის ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ვ. ი. ლენინი მაშინ მძიმედ იყო ავად და ექიმების დაყენებული მოთხოვნის შემდეგ დათანხმდა დასვენებაზე. ამიერკავკასიის კომპარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა გ. კ. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინს ურჩია საქართველოში ჩამოსვლა და შესთავაზა ორი ვარიანტი — ბორჯომი ან აბასთუმანი. ვ. ი. ლენინი დაინტერესდა პავით, სიმაღლით ზღვის დონიდან, დასვენების პირობებით, როცა დაწვრილებითი მონაცემები მიიღო და ექიმებს მოეთათბირა, მან არჩევანი ლიკანზე შეაჩერა.

„ამხ. სერგო! გიგზავნით კიდევ რამდენიმე პატარა ცნობას. ისინი მომცა ექიმმა, რომელიც თვითონ იყო ადგილზე და



სრულ ნდობას იმსახურებს. აბასთუმანი სრულიად არ ვერ
 გაო, ვინაიდან „კუბოს“ ჰგავს, ვიწრო ქვაბულია. ნერვულე-
 ბისთვისაც არ ვარგა; სეირნობა მხოლოდ ცოცვით შეიძლება,
 ცოცვა კი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისათვის არავითარ
 შემთხვევაში არ შეიძლება. ბორჯომი ძალიან კარგია, ვინაი-
 დან სეირნობა შეიძლება ვაკე ადგილზე, ეს კი ნადეჟდა კონ-
 სტანტინეს ასულისათვის აუცილებელია. გარდა ამისა, ბორჯო-
 მი სასურველ სიმაღლეზეა, აბასთუმანი კი მეტისმეტად მაღ-
 ლაა, 1000 მეტრზე მეტი არ შეიძლება. ჩვენი ექიმი განსა-
 კუთრებით გვაფრთხილებს: ადრე არ გაემგზავროთ, განუ-
 წყვეტელი სიცივე და წვიმა იქნება ივნისის ნახევრამდეო.
 ეს უკანასკნელი არც ისე მაშინებს, თუ სახლში წვიმა არ ჩა-
 მოდის და გათბობაა, ვინაიდან ასეთ პირობებში სიცივე და
 წვიმა საშიში არ არის“.

მართლაც, ლიკანი ხომ სწორედ ის ადგილი იყო, რომე-
 ლიც ვ. ი. ლენინს ესაჭიროებოდა. სასეირნოდ ვაკე-პარკი,
 სუფთა, გამჭვირვალე ჰაერი, რბილი და თბილი ჰავა, ბორჯომის
 წყალი და, ბოლოს, სამხრეთული ბუნების მომხიბვლელია.

სერგო ორჯონიკიძემ დაათვალიერა ლიკანი. მასპინძლებს
 მისცა საჭირო რჩევა-დარიგება და იქ ყველაფერი შეამზადა
 უძვირფასესი სტუმრის მისაღებად, რომელსაც ივნისის შემ-
 დეგ ელოდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ვ. ი. ლენინს, რომელიც
 გორკაში დასასვენებლად იმყოფებოდა, ავადმყოფობა გაურ-
 თულდა და ლიკანში ვერ ჩამოვიდა.

გადიოდა წლები და ლიკანი თანდათან სულ უფრო ფარ-
 თოვდებოდა, სამედიცინო მიღწევების, ადრინდელი გამოც-
 დილებისა და თანამედროვე თერაპიის, ბალნეოლოგიის მეც-
 ნიერებათა საფუძველზე აქ ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა მრ-



სურ. 2. ბორჯომი. საქართველოს მეოთხე მთავარი სამმართველოს
სანატორიუმი „ლიკანის“ პარკის ხეივანი



ვალგვარ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მოწინავე მეთოდების მთელი კომპლექსი.

სანატორიუმში უმთავრესად მკურნალობენ საჭმლის მომწოდებელი ორგანოების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, შარდის გამომყოფი, სუნთქვის ორგანოების, ნერვული სისტემის დაავადებებს, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას (დიაბეტი, სიმსუქნე), ჰიპერტონიას (პირველი სტადია). თითოეული მათგანისათვის დანერგილია მკურნალობის ზუსტად განსაზღვრული მეთოდები. მაგალითად, გასტრიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის შემთხვევებში წარმატებით იყენებენ აგრეთვე ტალახით, პარაფინით, ელექტროტალახით მკურნალობას. სიმსუქნით დაავადებულებს ენიშნებათ მასაჟი, წყალქვეშა მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ჰიდროთერაპია. ამასთან ერთად რაც შეიძლება მეტი აქტიური დასვენება და მოძრაობა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, რისთვისაც სპეციალურად არის შექმნილი ბილიკები ტერენკურისთვის.

ბუნებრივია, რომ ასეთი ფართო მასშტაბით მკურნალობის გაშლა ძველ პატარა ნაგებობაში შეუძლებელი იყო, იგი ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს, თანაც სივიწროვის გამო არ ხერხდებოდა ახალი კაბინეტ-ლაბორატორიების შექმნა და თანამედროვე სამედიცინო აპარატურით ყოველმხრივ აღჭურვა. და აი ადრინდელის ნაცვლად მის ადგილზე 1969 წელს წამოიჭიმა მინა-ალუმინისგან გემოვნებით ნაგები თანამედროვე შენობა, რომელშიც ბევრია მზე და ჰაერი.

აქ მოწყობილია და ნაყოფიერად მუშაობს მინერალური წყლისა და მარგალიტოვანი აბაზანები, ჰიდროთერაპიის, წყალქვეშა მასაჟის, ინჰალაციის, ჟანგბადის კოქტეილის, კუჭის მორწყვა-ამორეცხვის, პარაფინის, ფიზიოთერაპიის, ინტრავასტრალური, ნაწლავის შხაპის, ნაწლავის სიფონური

გამორეცხვის, ელექტროტალახის, ტალახის, რექტალური ტამპონების, ვაგინალური ტამპონების კაბინეტები, სტატალა-ხო განყოფილება, სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი, გასტროსკოპიის, რექტორომანოსკოპიის, სტომატოლოგიური კაბინეტები, კლინიკური, ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები, რენტგენისა და მასაჟის კაბინეტები.

კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა და დანადგარებით.

ცხადია, ასეთი ფართო მასშტაბით მკურნალობის პირობებში სანატორიუმს შეუძლია ადრინდელზე გაცილებით მეტი ავადმყოფი მიიღოს. მართლაც, აქ პირვანდელთან შედარებით საწოლების რაოდენობა ერთიხუთად გაიზარდა და ამჟამად 250-მდე ავიდა. მარტო მესამე — თანამედროვე ხუროთმოძღვრული სტილით ნაგებ ახალ კორპუსში ასთოთხმეტი აღვილია.

აქ ახალი ჭაბურღილი გაიჭრა და № 59 წყაროს წყალი ამოჩუხჩუხდა. რა არის ამ წყლის უპირატესობა? ნაკლები გოგირდი, უკეთესი გემო. თანაც ავადმყოფი უკვე იღებს ასპროცენტრიანი ბორჯომის წყლის აბაზანებს და სხვა ყოველნაირ პროცედურას. მისი სათავის თერმულობა 37-38 გრადუსია. წყალი მილიდან თვითდინებით აღწევს აბაზანებამდე და მისი სითბო — 34°C სავსებით საკმარისია აბაზანებისათვის. ჭაბურღილის დებიტი წამში თორმეტნახევარ ლიტრს შეადგენს.

1971 წელს ზედ მტკვრის თავზე აიგო ბორჯომის მინერალური წყლის შავი მარმარილოთი მოპირკეთებული ახალი ბიუვეტ-პავილიონი. ბორჯომის წყალს ხმარობენ როგორც დასალევად, ისე აბაზანებისათვის (ინჰალაცია, ნაწლავთა და კუჭის გამორეცხვა, გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა).



თავისი ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით ბორჯომის წყალი მიეკუთვნება ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ ნატრიუმის ტიპის სოდიან წყლებს, რომელსაც ბადალი არა აქვს მსოფლიოში. მისი ანალოგები არსებობს საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, შორეულ აღმოსავლეთსა და კარპატებში. საზღვარგარეთულ ანალოგად ითვლება ფრანგული ვიშის წყალი გრანდ-გრილი. ბორჯომის წყლის უზომოდ მიღება მიზანშეუწონელია — მას აქვს ჩვენება და უკუჩვენება. ეს სამკურნალო წყალია და ნიშნავენ ინდივიდუალურად კუჭის წვენის მჟავიანობის მაჩვენებლების მიხედვით: მომატებული მჟავიანობის დროს ჭამამდე ერთი საათით ადრე სამჯერ დღეში — 200—250 მილილიტრი. დაქვეითებული მჟავიანობის შემთხვევაში — ათი-ოცი წუთით, ხოლო ნორმალური მჟავიანობისას ოცდაათი-ორმოციოდე წუთით ადრე.

აქ ყველაფერი კეთდება ნაყოფიერი მკურნალობა-დასვენებისათვის. ავადმყოფებს ენიშნებათ საგანგებო კვება და ესეც მათი ჯანმრთელობის სამსახურშია. საუცხოოდ მოწყობილი და აღჭურვილი კვების ბლოკი ექიმის და დიეტექტის მეთვალყურეობით ნოყიერ და გემრიელ, კალორიებითა და ვიტამინებით მდიდარი კერძების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს დამსვენებელს.

მსუბუქი და ჰაეროვანი სტილის ნათელ და ფართო სასადილოს შუაგულში მინიატიურული შადრევნებიანი პატარა აუზი, თალარი, ეგზოტიკური პანოები თვალისათვის საამოა. სასადილომ 1970 წელს მიიღო პირველი დამსვენებლები, ხოლო იმავე სადამოს ამ შენობის მარცხენა ფართაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ახალი კლუბი.

სულ უფრო ივსება და ძლიერდება სანატორიუმის მატე-

რიალური ბაზა. აშენდა რესპუბლიკაში პირველი თხევადი გაზის საქვაბე, რომელმაც შეცვალა ძველი ექვსი საქვაბე, განიხილავს ნაბოლქვით რომ აბინძურებდა გამჭვირვალე, ანკარა ჰაერს. საკუთარ დამხმარე მეურნეობას შეადგენს მსხვილფეხა პირუტყვი, ფრინველი, ბოსტანი, რომლის პროდუქტითაც მარაგდება სასაღილო. შემთხვევითობათა თავიდან ასაცილებლად აგებულია ბორჯომის წყლის საცავი, შეიქმნა მინიატიურული ბოტანიკური ბაღი.

ყველას, დაწყებული ექიმებით და დამთავრებული ექთნებითა თუ დამლაგებლებით, თავისი ღირსების საქმედ მიაჩნია ავადმყოფს არ მოაკლონ ყურადღება.

იშვიათი როდია შემთხვევა, როცა სანატორიუმს კვლავ მიაშურებენ ხოლმე ადამიანები, რომლებიც აქ ადრე ყოფილან, უმკურნალიათ, იციან მისი მუშაკების გულთადობა და კეთილი განწყობილება და, რაც მთავარია, მკურნალობა მოუხდათ.

სანატორიუმის სამედიცინო პერსონალი დიდხანს და გულმოდგინედ სწავლობდა დროის ფაქტორის გავლენას ავადმყოფის მკურნალობის მაქსიმალურ ეფექტიანობაზე და საყურადღებო მონაცემები მიიღეს. მაგალითად, გამოიკვია, რომ თირკმლით დაავადებულნი აქ თავს უკეთესად გრძნობენ ზაფხულის თვეებში — ივლისსა და აგვისტოში.

ყველას, ვისთვისაც საქართველო შედარებით უცნობია, თავდაპირველად, რა თქმა უნდა, აცნობენ სანატორიუმის ისტორიას, ათვალეერებინებენ ბორჯომს. საექსკურსიო მარშრუტშია მოგზაურობა ბაკურიანისაკენ, გორი და ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, გორის ციხე, თბილისი და მისი შემოგარენი ძვირფასი არქიტექტურული და ისტორიული ძეგლებით. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე მესხე-

თის მშვენება და სიამაყე—ციხე-ქალაქი ვარძია, თმოგვისა და ხერთვისის ციხე-კოშკები თვალშეუდგამ კლდის წვერზე...

სანატორიუმის მატრიანეში ოქროს ასობით შევიდა 1951 წელი. ზაფხულის დღეები აქ გაატარა ი. ბ. სტალინმა. დიდი მღელვარებითა და სიამაყით მოგვითხრობენ იმ დღეების მომსწრენი, თუ რა სიყვარულით მუშაობდა იოსებ ბესარიონის ძე პარკში ბართა და თოხით ხელში, როგორ კრეჭდა, ასწორებდა და რწყავდა ყვავილნარს, სხლავდა ვაზს, როგორ დარგო სასახლის წინ ორი აღმოსავლური ჭადარი, ახლა რომ ტანი აიყარა, ტოტები გაშალა და დამშვენდა.

სხვადასხვა დროს აქ ისვენებდნენ და მკურნალობდნენ გამოჩენილი რევოლუციონერები, სახელმწიფო მოღვაწენი, ბევრი ქვეყნის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელები თუ სახელმწიფოთა მეთაურები, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის, შრომის სახელგანთქმული ადამიანები. აქ იყვნენ ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე, კ. ვოროშილოვი, ა. ლუნაჩარსკი და ა. მიქოიანი, გ. დიმიტროვი და ვ. ულბრიხტი, ყ. დიუკლო და ნ. ტრაიკოვი, ტ. ყივკოვი, მ. შოლოხოვი, ნ. ტიხონოვი, მ. ბაჟანი, მსოფლიოს ექსპემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ა. კარპოვი და სხვ.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმის დღეებში მსოფლიოს ყველა კონტინენტის 84 ქვეყნისა და ჩვენი სამშობლოს მრავალი კუთხიდან ჩამოსულმა სტუმრებმა — გამოჩენილმა მწერლებმა, კრიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა — აქ ორდღიანი სიმპოზიუმი გამართეს.

„ლიკანს“ თავისი ფილიალიც აქვს — ბაკურიანის კეთილმოწყობილი დასასვენებელი კომპლექსი 70 კაცი-

სათვის, რომელიც ზაფხულობით 2 თვეს, ზამთრობით კი 3 თვეს მშრომელთა გულშია მასპინძელია. ზაფხული აქ გრილი იცის, ჰავა მშრალი და ზომიერია. ბაკურიანის ღირსშესანიშნაობაა ბოტანიკური ბაღი და გრძელბეწვიანი მოვერცხლისფრო მელიების ნაკრძალი—საშენი, რომელსაც სავესპორტო დანიშნულება აქვს. აქ გამოიყვანეს ძვირფასი მელიის ახალი ჯიში, რომელიც სოფლის სახელს ატარებს.

1936 წელს სანატორიუმმა პირველი ავადმყოფები მიიღო. ამასობაში კი ცოტა ზემოთ შენდებოდა მეორე კორპუსი. 1938 წელს ორივე კორპუსში ერთდროულად 450 კაცი მკურნალობდა.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, ისევე როგორც ყველა დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი და სასტუმროც, ეს ჯანმრთელობის კერაც ფრონტის სამსახურში ჩადგა. მის ბაზაზე გაიხსნა საერთო ქირურგიული პროფილის მთავარი ევაკოპოსპიტალი. შეიქმნა 9 ქირურგიული და 4 სპეციალიზებული განყოფილება: თერაპიული, თორაკალური, თვალისა და ნერვული. ომის წლებში გაკეთდა ათასობით ოპერაცია, დაჭრილებს ამოუღეს 1600 უცხო სხეული — ტყვია, ნაღმისა და ყუმბარის ნამსხვრევი. იმ მძიმე წლებში, როცა ყოველ წვეთ სისხლს შეეძლო ჯარისკაცის სიცოცხლის გადარჩენა, დონორები სასწაულებს ახდენდნენ. და თუ რაიმე მიზეზით სისხლის მიწოდება ფერხდებოდა, ექიმები თავს არ იზოგავდნენ, დაჭრილებს თვითონ აძლევდნენ სისხლს და იქვე იწყებდნენ ოპერაციას. მრავალმა ათასმა ჯარისკაცმა აღიდგინა ჯანმრთელობა და კვლავ საბჭოთა არმიის რიგებს დაუბრუნდა.

ომის შემდეგ 1946 წელს ევაკოპოსპიტალი კვლავ სანატორიუმად გადაკეთდა. კეთილმოეწყობა პარკი. დაირგო ყვავილ-

ნარი. 1977 წელს კიდევ ერთი თანამედროვე კორპუსი შეემატა აქ შეიქმნა პირველი ორიგინალური ავტომატური ფოტოქლომენტინი სისტემა ბორჯომის მინერალური წყლის მიწოდებისათვის.

პროფკავშირების სანატორიუმ „ლიკანს“ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო სამსახურის ძველი ტრადიციები აქვს და ეს დაკავშირებულია ცნობილი ქართველი მეცნიერი მედიკოსების ა. ბაკურაძის, გ. დიდებულის, შ. გუგუშვილის, შ. ფარჯანაძის, კ. ერისთავის, ა. ერისთავის, ა. გზირიშვილის, ო. სცეპუნის, ა. კურტანიძის, რ. ჩხეტიას სახელებთან.

მთავარი ექიმის ემანუილ დვალისშვილის თაოსნობით, რომელიც გამომდინარეობდა საღირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებიდან და საბაზო სანატორიუმის დებულებიდან, 1960 წელს რესპუბლიკაში პირველად აქ ჩამოყალიბდა მეთოდ-ცენტრი დიეტოლოგიაში. შემუშავდა ახალი დიეტა და სამკურნალო კვების რეჟიმი, მომზადდა დიეტოლოგი სპეციალისტები.

1966-69 წლებში შეიქმნა უნიკალური სპეციალიზებული გასტროენტეროლოგიური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი, რომელიც თანამედროვე დონის ყველა საჭირო სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტით აღიჭურვა.

მეთოდცენტრის მუშაობის გასაცნობად 1966 წლიდან სანატორიუმს ეწვია 148 დელეგაცია, რომელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 24 ნამდვილი წევრი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორები და სხვა დიდი მეცნიერები. 1977 წელს „ლიკანში“ ჩავიდნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი აკადემიკოსი ბ. პეტ-

როესკი და სამინისტროს მთავარი თერაპევტი ა. ლოგინოვი. მათ გულმოდგინედ დაათვალიერეს სანატორიუმის კორპუსები, გაეცნენ მკურნალობის მიმდინარეობას, ესაუბრნენ ავადმყოფებს, მინისტრმა მალალი შეფასება მისცა სანატორიუმის მუშაობას და გამოთქვა ზოგიერთი მოსაზრება მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე.

ამჟამად მეთოდცენტრი მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ კავშირს ახორციელებს ჩვენი ქვეყნის 47 ერთპროფილიან სამეცნიერო სასწავლო დაწესებულებასთან. მეთოდცენტრი აერთიანებს 6 ლაბორატორიას (მათ შორის გასტრომორფოლოგიურს), 21 დიაგნოსტიკურ და 35 სამკურნალო კაბინეტს. ასეთი რამ არ არსებობს არცერთ ერთპროფილიან კლინიკასა და პროფკავშირების სანატორიუმებში. განხორციელდა 21 გამოგონება და 168 რაციონალიზატორული წინადადება, შემუშავდა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის 78 ახალი მეთოდი (მათ შორის 27 პირველად ჩვენს ქვეყანაში).

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კომპლექსური დიაგნოსტიკა საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავთვისებიანი წარმონაქმნების ადრეული გამოვლინებისათვის, ენდოკრინოლოგიური და ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევები.

მოეწყო 7 სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მათ შორის 1 საკავშირო (1972), გამოიცა ნაშრომების კრებულები, მონოგრაფიები.

აქ კვალიფიკაცია აიმაღლა ერთპროფილიანი დაწესებულებების 97 სპეციალისტმა. მოეწყო და ნაყოფიერად მუშაობს გაერთიანებული საბჭო. სანატორიუმის მდიდარი გამოცდილება დაედო საფუძვლად 4 სამეცნიერო-სასწავლო ფილმს. მიმდინარეობს დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პედაგოგიური მუშაობის ახალი მეთოდების სრულყოფა.

დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მოწინავე მეთოდების ასათვისებლად და გამოცდილების გასაზიარებლად ამ ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სპეციალისტები (ალმა-ათა, ნოვოსიბირსკი, დონეცკი, თბილისი, მოსკოვი, იალტა, სვერდლოვსკი...).

1971 წლიდან ეწყობა სემინარების ციკლი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელებისათვის.

* * *

კიდევ უფრო კეთილმოეწყობა და დამზვენდება ლიკანი— მშრომელთა ჯანმრთელობის ბალნეოკლიმატური კერა.

Существует несколько гипотез относительно названия «Боржоми», но наука ни одну из них, к сожалению, не считает убедительной. По мнению некоторых исследователей, название «Боржоми» связано с войнами. Они считают, что Боржоми состоит из двух слов: «борж» (от персидского «бурдж» — крепкая стена) и «оми» — война. Действительно, узкое Боржомское ущелье раньше было ареной битв, и высокие горы представляли собой своеобразную естественную крепость.

